საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/109

ქ. ბათუმი

4 ივლისი, 2019 წ.

,,ბსუ-ს 2018 წლის ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში აღნიშნული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინების თაობაზე ბსუ-ს ანგარიშის მომზადების მიზნით შესასრულებელი სამუშაოს, პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 13 ივნისის N01-02/85 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №10 სხდომის ოქმისა და №56 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 21 ივნისის №07-01\14 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს 2018 წლის ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში აღნიშნული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინების თაობაზე ბსუ-ს ანგარიშის მომზადების მიზნით შესასრულებელი სამუშაოს, პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 13 ივნისის N01-02/85 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა (ა. ბერიძე), რექტორის მოადგილეებმა (თ.სირაძე, ნ. წიკლაშვილი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (ა. მითაიშვილი).";

ბ) ბრძანების დანართი 1-ში, პასუხისმგებელ პირად ნაცვლად ჯემალ ანანიძისა 2019 წლის 24 ივნისიდან განისაზღვროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე მითაიშვილი.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**